სტატიები

გიორგი გოგსაძე •

ქართული ოცნების წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში

აბსტრაქტი

სტატიაში გამოკვლეულია პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების ლიდერების პოპულისტური გზავნილები საჯარო გამოსვლებში, რომელსაც ისინი მიმართავდნენ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას. პოპულიზმი გაგებულია როგორც დისკურსი, სადაც პოლიტიკურ სივრცეში, საზოგადოება დაპირისპირებულია ერთის მხრივ, ჩვენ „ხალხსა“ და მეორეს მხრივ, („სხვა“) „ელიტას“ შორის. ეს მიდგომა ერნესტო ლაკლაუს თეორიას ეფუძნება. სტატიის მიზანი გახლდათ პოპულისტური თემების გამოკვეთა, რომელზეც ქართული ოცნება აპელირებდა და ანტაგონიზმის კონსტრუქციას ახდენდა ხალხსა და „სხვებს“ შორის.

წინასაარჩევნოდ ქართული ოცნება ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს შიდა და გარე ძალები ებრძოდნენ. გარე ძალები თავიანთი აგენტების, კერძოდ, „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ მეშვეობით ებრძოდნენ საქართველოს ხელისუფლებას (ქართულ ოცნებას) და ქართველ ხალხს, მის ტრადიციებს, რელიგიასა და ფასეულობებს, ასევე არ სცემდნენ პატივს საქართველოს სუვერენიტეტს. კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილი იყო, როგორც პოპულისტური „სხვა“, რომლის მიზანი იყო ქვეყნის ჩათრევა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში და მეორე ფრონტის გახსნა, რაც

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

ქვეყნის განადგურებით დამთავრდებოდა. ამის საპირისპიროდ, ქართული ოცნება საკუთარ თავს წარმოადგენდა, როგორც მშვიდობის ერთადერთ გარანტიას ქვეყანაში. აღნიშნულ გზავნილებში იკვეთებოდა პოპულისტური დისკურსები, რომელიც, ასევე, გავრცელებულია ევროპაში ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიების რიტორიკაში, მათ შორის, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაზე ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ბიუროკრატიისგან.

ევროკავშირთან დაკავშირებით, ქართული ოცნება მიმართავდა ევროპის ორმაგი იმიჯის კონსტურქციას. ერთის მხრივ, ის აღნიშნავდა, რომ ქვეყნის გარედან საქართველოს მიუღებელ (ფსევდოლიბერალურ) ღირებულებებს ახვევდნენ თავს. ქართული ოცნება ამას უპირისპირებდა ქრისტიანულ ღირებულებებს რომელიც ევროპის საფუძველს წარმოადგენდა. საქართველო სწორედ ქრისტიანობის გამო უნდა გაწევრიანებულიყო ევროკავშირში. ამ სტრატეგიის გამოყენება, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერას უნდა დავუკავშიროთ.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, მშვიდობა, სუვერენიტეტი, აგენტები, ევროპა.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო პოპულიზმის აღზევებით და პოპულისტური ძალების გაძლიერებით ხასიათდება. უკანასკნელ წლებში დასავლურ დემოკრატიებში პოპულისტურმა ძალებმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. პოპულიზმის ზრდამ მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტზე და ასახვა ჰპოვა პოლიტიკურ დისკურსზე. პოლიტიკური აქტორები რომლებიც პოპულიზმს მიმართავენ აპელირებენ ისეთი საკითხებით, როგორიც არის იმიგრაცია, ევროსკეპტიციზმი, სუვერენიტეტი და დემოკრატიული დეფიციტი, უკრაინა-რუსეთის ომი და სხვა.

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ 2022 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია რეგიონში. ომის დაწყების შემდეგ, სახელისუფლებო პარტიის, ქართული ოცნების, რიტორიკა დასავლეთის მიმართ კრიტიკული გახდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დასავლეთს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და ქვეყნის რუსეთთან ომში ჩართვა სურდა. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის ბოლოს საქართველომ (უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად) შემლო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება, ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიეღო კანონი უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ (ე.წ „აგენტების კანონი“), რასაც 2024 წლის გაზაფხულზე დასავლეთის ქვეყნების (მათ შორის, ევროკავშირის და აშშ-ს) და წარმომადგენლების კრიტიკა[1] და დიდი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ხელისუფლება ამ ნაბიჯს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გამჭირვალობის აუცილებლობით ხსნიდა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ჩართული იყო რევოლუციის მოწყობის მცდელობებში და ამ კანონს მანამდე რომ ემოქმედა არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ გაბედავდნენ რევოლუციურ პროცესში ჩართვას. [2] ხელისუფლების ოპონენტები, ამ ნაბიჯს, რამდენიმე წლით ადრე რუსეთის მიღებულ მსგავს კანონს უკავშირებდნენ, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლება შეზღუდა და დემოკრატიული ინსტიტუტები დაასუსტა.

აღნიშნული მოვლენებისა და რუსეთ-უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე წარიმართა 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდი, რომელმაც როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ოპოზიციისთვის გან-

[1] უფრო დაწვრილებით იხ: *„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის საბოლოო მოსმენით მიღებას საერთაშორისო გამოხმაურებები მოყვა.* (2024, 15 მაისი) Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/606551

[2] უფრო დაწვრილებით იხ: *პრემიერ-მინისტრი კანონპროექტს იცავს, სსო-ებსა და პრეზიდენტს „უცხოელ აგენტებს“ უწოდებს.* (2024, 17 აპრილი) Civil.ge. https://civil.ge/ka/archives/600071

საკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამ ყოველივედან გამომდინარე, აქტუალურია პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო გზავნილების კვლევა, განსაკუთრებით, ქართული ოცნების, რომელიც საარჩევნოდ პოპულისტურ გზავნილებს მიმართავდა.

სტატიის მიზანია იმ პოპულისტური გზავნილების გამოკვეთა, რომელსაც 2024 წელს წინასაარჩევნო პერიოდში[3] საჯარო გამოსვლების დროს ქართული ოცნების ლიდერები მიმართავდნენ. კერძოდ, იმ თემების იდენტიფიცირება, რომელზეც ქართული ოცნება ყურადღებას ამახვილებდა, სადაც ხდებოდა ანტაგონიზმის კონსტრუქცია „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის.

მეთოდად გამოყენებულ იქნა თემატური კონტენტანალიზი, სადაც მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა ითქვა. კონტენტანალიზის ერთეულებად შერჩეულ იქნა სიტყვები (მაგ., ხალხი, ჩვენ, რეჟიმი /ელიტა, (წინა) ხელისუფლება, აგენტები/აგენტურა, ნაციონალური მოძრაობა, ლგბტ, მშვიდობა, ომი, საქართველო, ქართველი, ევროპა) და წინადადები.

ანალიზის ერთეულები იყო პოლიტიკური პარტიის წევრების საჯარო გამოსვლები. პარტიის ლიდერები წინასაარჩევნო პერიოდში ხვდებოდნენ ამომრჩევლებს და მართავდნენ ღონისძიებებს, სადაც მხარდამჭერებს სიტყვით მიმართავდნენ დიდ ქალაქებში. ქართულმა ოცნებამ აღნიშნულ პერიოდში ჩაატარა ღონისძიება 11 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ამბროლაური, ახალციხე, გორი, მცხეთა, თელავი). პარტიის წევრების სიტყვით გამოსვლების მოძიება შესაძლებელი იყო ისეთ საიტებზე როგორიც არის პირველი არხი, მარშალ პრესი, expressnews.ge, lideri.ge, geotimes.ge, mpn.ge, exclusivenews.ge, kvira.ge, nsp.ge და სხვა (აღნიშნული საიტებზე სიტყვით გამოსვლები სრულად იყო მოცემული). სიტყვით გამომსვლელებს შორის იყვნენ პარ-

[3] კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო პერიოდი საქართველოში არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება. იხ: (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011).

ტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯომარე შალვა პაპუაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე, ქართული ოცნების გენერალური მდივანი და თბილისის მერი კახა კალაძე (2024 წლის არჩევნებისთვის ყველა პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი იყო).

პოპულიზმის განმარტება

პოპულიზმი ბუნდოვანი ტერმინია და არ არსებობს კონსენსუსი მის განმარტებასთან დაკავშირებით. ვიწრო გაგებით: „პოპულისტური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ქმედებას ან იდეას, რომელიც რეაგირებს ხალხი/ელიტის განსხვავებაზე (cleavage)“ (Jakobson, 2012, 4-5). ყველაზე გავრცელებულია კას მუდეს მიდგომა, რომელიც პოპულიზმს ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიად („thin - centered” ideology) მიიჩნევს, სადაც საზოგადოება ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფადაა დაყოფილი, მის ცენტრში არის დაპირისპირება „უბრალო/უმწიკვლო ხალხსა“ და „კორუმპირებულ ელიტას“ შორის და რომ პოლიტიკა უნდა ასახავდეს უმრავლესობის ნებას. ვიწროდ განსაზღვრული იდეოლოგია გულისხმობს, რომ პოპულიზმი არ არის სრულყოფილი მსოფლმხედველობა და იდეოლოგია, რომელიც გვთავაზობს თანმიმდევრულ პასუხებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეკითხვებზე. იგი განცალკევებით არ არსებობს და დაკავშირებულია სხვა იდეოლოგიებთან (მაგ: ნაციონალიზმთან, სოციალიზმთან და ა.შ) (გოგსაძე, 2022).

ზემოთ აღნიშნული მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ უფრო მარტივია ცნების ოპერაციონალიზაცია და პარტიების შემდგომი კლასიფიკაცია „პოპულისტურ“ და „არაპოპულისტურ“ პარტიებად.[4]

[4] აღსანიშნავია, რომ პოპულიზმის შესწავლის არსებულ პრობლემებს შორის არის, რომ პარტიის ან მისი წევრების პოპულისტურობის მაჩვენებელი განსხვავდება ინდივიდების მიხედვით. ამის მაგალითია იტალიაში Forza Italia-ს ლიდერის სილვიო ბერლუსკონის შემთხვევა, რომ-

თუმცა, ამავდროულად, გარკვეულ შემთხვევებში, პოლიტიკური პარტიები მხოლოდ აღნიშნული კლასიფიკაციით ვერ დაიყოფიან და არაერთი არაპოპულისტური პარტია მიმართავს პოპულისტურ რიტორიკას და დისკურსს. აღნიშნული სპეციფიკა არის მეორე მიდგომის ძლიერი მხარე, რომელიც პოპულიზმს განიხილავს, როგორც დისკურსს. ამ მიდგომის განვითარება უკავშირდება ერნესტო ლაკლაუს. ამ მიდგომაში აქცენტი კეთდება ლიდერთა გამოსვლებზე და მათში გამოხატულ პოპულისტურ ნარატივებზე.

ლაკლაუს თანახმად, პოპულიზმი არის ანტი სტატუს-კვო დისკურსი, რომელიც ამარტივებს პოლიტიკურ სივრცეს საზოგადოების ორად დაყოფით, სადაც ერთის მხრივ, არის „ხალხი“ (როგორც დაჩაგრული) და მეორეს მხრივ, არიან „სხვები“. სიმბოლური განსხვავება „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის წარმოადგენს ე.წ „ცარიელ აღმნიშვნელს“, რომელიც იღებს არაერთ მნიშვნელობას სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. პოპულიზმი გაგებულია, როგორც გზა პოლიტიკის კონსტრუქციისთვის, რომელიც ხასიათდება პოპულარული სუბიექტურობის თანმიმდევრული კონსტრუქციით, როგორიცაა „ჩვენ ხალხი“ მეტოქის „მათ, ელიტის“ წინააღმდეგ.[5] ეს კატეგორიები საკუთარ მნიშვნელობას „იდენტიფიკაციის“ პროცესისას იძენენ, რამდენადაც გარკვეული სოციალური ჯგუფები გაგებულია როგორც „ხალხი“ (ჩვენ) და დაპირისპირებული არიან მჩაგვრელ „სხვებთან“ (ისინი). პოპულიზმის ძირითადი მიზანი ანტაგონიზმის კონსტრუქციაა (გოგსაძე, 2022). სტატიაში, პოპულიზმი გაგებულია ლაკლაუს მიდგომის შესაბამისად.

ლის მოწოდებები პოპულისტურობით გამოირჩეოდა, მაშინ როდესაც პარტიის სხვა წევრები მსგავსი რიტორიკას არ მიმართავდნენ.

[5] ზოგიერთი მკვლევარის თანხმად, პოპულისტების სამიზნე ყოველთვის ელიტა არ არის. ის დამოკიდებულია კონტექსტზე, სადაც „ხალხის“ ანტაგონიზმი ძირითადად მიმართულია სხვადასხვა ჯგუფებისა ან ინსტიტუტების წინააღმდეგ, როგორიც არის ძველი რეჟიმი, ოლიგარქია, ელიტა ან სხვა. იხ: (Laclau, 2005, 39).

პოპულისტური გზავნილები 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში

პარტია ქართული ოცნების მთავარი საარჩევნო ლოზუნგი გახლდათ „მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“, რაზეც, მუდმივად კეთდებოდა აქცენტი ლიდერების მოწოდებებში. ამასთან ერთად, ქართულმა ოცნებამ წინასაარჩევნოდ პარტიის ლოგოც შეცვალა, სადაც ლოგოს ნახევარზე ევროკავშირის დროშა იყო გამოსახული, ხოლო მეორე ნახევარზე - ქართული ოცნების დროშა.

ქართული ოცნების ლიდერთა საჯარო გამოსვლებში იკვეთებოდა პოპულისტური გზავნილების შემცველი თემები, მათ შორის, იყო ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა (ასევე ომისა და მშვიდობის საკითხი, რაც ამ თემასთან იყო დაკავშირებული). გლობალიზაციისგან ქვეყნის სუვერნიტეტის დაცვა ერთ-ერთი წამყვანი საკითხია პოპულისტებისა და პოპულისტური პარტიებისთვის (ევროპაში მათი ძირითადი სამიზნე ბრიუსელში განთავსებული ევროკავშირის ინსტიტუტებია და ის ბიუროკრატია, რომელიც ხალხის მიერ არ იქნა არჩეული და მართვის სადავეები გააჩნია, რაც მათი თქმით, ევროკავშირში დემოკრატიულ დეფიციტს განაპირობებს). ქართული ოცნება ცდილობდა წარმოეჩინა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი ილახება, რადგან ევროკავშირი და მათი წარმომადგენლები საქართველოსთვის მიუღებელი ღირებულებების თავსმოხვევას ცდილობდნენ.

ლიდერთა მოწოდებებში, საქართველოს შიდა და გარე მტრები ებრძოდნენ. ივანიშვილის განცხადებით, შიდა და გარე მტრებს, სურთ, რომ საქართველო დაღუპონ. ისინი ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ არსებობს ორი საქართველო. სინამდვილეში მხოლოდ ერთი საქართველო არსებობს, „რომლის მოსახლეობასაც მშვიდობით, ღირსებითა და კეთილდღეობით, საკუთარი ღირებულებების შენარჩუნებით სურს, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი.“

(ივანიშვილი, ზუგდიდი, 2024). როგორც ზემოთ აღინიშნა, პოპულიზმის თანახმად, ხალხი არის ჰომოგენური და მათ აქვთ ერთი ინტერესი. არსებობს, მხოლოდ ერთი საქართველო და ის საქართველო ემხრობა ქართულ ოცნებას, რომელიც იცავს მშვიდობას და ტრადიციებს, ხოლო მეორე მხარეს არიან მტრები, რადგან მათ არ სურთ ქართული ღირებულებების შენარჩუნება.

ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანესი გზავნილი გახლდათ ომისა და მშვიდობის საკითხი. ოპონენტებს[6] ბრალი ედებოდათ, რომ მათ სურდათ ომის გაჩაღება. ივანიშვილის თქმით, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ [7] საზოგადოების დაპირისპირება უნდა და „საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ფასად ცდილობს, ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მათი უცხოელი პატრონების დახმარებით, მზად არიან, 2008 წლის ღალატის მსგავსად, ქვეყანა ომში ჩაითრიონ და კიდევ ერთხელ დაატრიალონ ტრაგედია, რაც ადამიანების სიცოცხლის, დამატებით, დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა“ (ივანიშვილი, ბათუმი, 2024). პარტიის საპატიო თავმჯდომარე, ასევე ცდილობს წარსულის მოვლენების დაკავშირებას არსებულ ვითარებასთან რეგიონში. ომის საფრთხეზე აპელირებით და 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის დაწყებაში ნაციონალური მოძრაობისთვის დაბრალებით, მიუთითებს, რომ ამ პარტიას ამჟამადაც სურს რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნა. მთავარი მიზანია, რომ ამომრჩეველს დაენახა განსხვავება ომის დამწყებ ნაციონალურ მოძრაობასა და მშვიდობის დამცველ ქართულ ოცნებას შორის.

---

[6] ერთ-ერთ მიმართვაში ივანიშვილი ოპონენტებს მოიხსენიებს, როგორც ცრუ ქართველებს, რომელთა ბოგინი ქვეყანაში სამუდამოდ უნდა დასრულდეს (ივანიშვილი, ქუთაისი, 2024).

[7] აღნიშნულ ტერმინში იგულისმხება ოთხი მთავარი ოპოზიციური პარტია. იხ: (ირაკლი კობახიძე - როგორც არ უნდა გაერთიანდეს..., 2024)

ღარიბაშვილის (ქუთაისი, 2024) განცხადებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე და ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა მის მჩაგვრელ, ბოროტ, ქვეყნის და ხალხის მოღალატე ძალაზე. ამის ფონზე, შემდგომი 12 წელი იყო მშვიდობისა, სტაბილურობისა და კეთილდღეობის პერიოდი. გარე და შიდა ძალების მიერ ორგანიზებული და კოორდინირებული მცდელობების მიუხედავად, ხელისუფლება მტკიცედ დადგა, არ დანებდა და ქვეყანას აარიდეს ომი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე (ქუთაისი, 2024) საკუთარ გამოსვლებში მთავარ ყურადღებას უთმობდა მშვიდობაზე საუბარს (ამავდროულად, იმ ნაბიჯებზე, რასაც ქართული ოცნება გამარჯვების შემთხვევაში განახორციელებდა). მისი თქმით, ქართული ოცნება ერთადერთი ხელისუფლებაა, რომელმაც დამოუკიდებლობის აღგენის შემდეგ შეძლო მშვიდობის შენარჩუნება და თავიდან აირიდა ომი.

ივანიშვილის თქმით, „ჩვენ უცხო ძალებს არ მივცემთ ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლებას, რადგან 26 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა აირჩევს არა უცხოურ აგენტურას, არამედ ეროვნული პოლიტიკის გამტარებელ პოლიტიკურ ძალას – „ქართულ ოცნებას!““ (რუსთავი, 2024). აქვე აღნიშნულია, რომ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“[8] ყოველივე ქართულის წინააღმდეგ მოქმედებს და ისინი არაკონსტიტუციურად უნდა გამო-

[8] აღსანიშნავია, რომ ოპოზიციასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარე, პაპუაშვილი (რუსთავი, 2024) აცხადებდა, რომ არ არის მოწადინებული ტერიტორიების დაბურნებაზე მშვიდობიანი გზით, მათთვის მთავარია ევროპის ინტერესები, ხოლო საქართველო მეორეხარისხოვანია. რადგან მათთვის არ არის პრიორიტეტული საქართველოს გაერთიანება და ასე გაწევრიანება ევროპულ ოჯახში. ამით პაპუაშვილი გულისხმობდა, რომ ჯერ ქვეყანა უნდა გაერთიანდეს და მერე გაწევრიანდეს ევროკავშირში. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანება ვერ მოხდება, სანამ აფხაზეთი და სამაჩაბლო არ ინტეგრირდებიან საქართველოსთან. ერთმანეთის გვერდით არის დაყენებული და შეპირისპირებული ევროკავშირში გაწევრიანება და ქვეყნის გაერთიანება.

ცხადდნენ.[9] მათ აწამეს და მოკლეს საქართველოს მოქალაქეები, ბიზნესი დაატერორეს, კორუფციაში და ავტორიტარიზმში გვაცხოვრეს ქართველები (ივანიშვილი, რუსთავი, 2024). ამასთან დაკავშირებით, ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარ მიმართვებში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შესახებ განაცხადა: „უცხო ქვეყნების მსახური აგენტურის „ნაციონალური მოძრაობის“ ანტიეროვნულ, ბოროტ რეჟიმს“ რომლემაც მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს მათი მმართველობის პერიოდში (ღარიბაშვილი, თბილისი, 2024). მათ ბრალდებოდათ ტერიტორიების დაკარგვა, მოქალაქეების წამება, ბიზნესის რეკეტი, მოქალაქეებისთვის ღვთისგან ბოძებული თავისუფლების წართმევა და ა.შ. ამასთან ერთად, მათ ჰყავდათ ლობისტები და მფარველები, რომლებიც სააკაშვილის მმართველობას „დემოკრატიის შუქურად“ მოიხსენიებდნენ (ღარიბაშვილი, თბილისი, 2024).

ოთხი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია თანამშრომლობს უცხოურ ძალებთან და ისინი გახსნიან მეორე ფრონტს საქართველოში და ქვეყანას მეორე პოლიგონად აქცევენ.ბოროტ აგენტურას სურს ქვეყნის სათავეში დაბრუნება (ღარიბაშვილი, ქუთაისი, 2024). საჯარო მიმართვისას, პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული პარტიები შეფასებულნი არიან, როგორც მოღალატე და

[9] ივანიშვილი პირობას დებდა, რომ გაასამართლებდა ნაციონალურ მოძრაობას და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში აკრძალავდა მას და მის სატელიტ და მემკვიდრე ოპოზიციურ პარტიებს. ამავდროულად, ივანიშვილი პირდებოდა ამომრჩეველს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებდნენ მათი მტრების მიერ ქართველი ერის მთავარი დასაყრდენის წინააღმდეგ ბრძოლას, მათ შორის, ასახავდნენ კონსტიტუციაში არასრულწლოვანთა ინტერესებს, ოჯახურ ღირებულებებს და იზრუნებდნენ მართმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებასა და დაცვაზე. თუმცა, ამით სხვა რელიგიურ კონფესიებს ჩრდილი არ მიადგებოდა (ივანიშვილი, ბათუმი, 2024).

მოძალადე, აგენტურის კოალიცია.[10] უცხო ძალების დავალებების შესრულებების გარდა, მათ სურთ სანქციებზე მიერთება რუსეთის წინააღმდეგ რაც ეკონომიკას ჩამოანგრევს, ხოლო, რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნა გამოიწვევს ქვეყნის უკრაინიზაციას და უამრავი ახალგაზრდის დაღუპვას ომში. ის ვინც ხმას აღნიშნულ ოპოზიციურ პარტიებს მისცემს ომის დაწყებას და სისხლიანი რეჟიმის დაბრუნებას დაუჭერს მხარს (ღარიბაშვილი, თბილისი, 2024).

საჯარო გამოსვლების დროს, ლიდერები ხშირად იყენებდნენ სიტყვა ხალხს, თუმცა ჩვეულებრივად ის გამოიყენებოდა როგორც ქართველი ერის მანიშნებელი და არა როგორც ჩაგრული ან დემოსი (როგორც ეს პოპულისტური გაგებით უნდა ხდებოდეს). ჩვეულებრივად ხალხში ლიდერები გულისხმობდნენ, ტრადიციულ, მართმადიდებელ[11] და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს. ანტაგონიზმის კონსტრუქცია ხდებოდა ხალხსა და ყოფილ ელიტას/რეჟიმს შორის, ეს უკანასკნელი არ არის ქართული ღირებულებების მატარებელი, რადგან მხარს უჭერდა „ლგბტ“ პროპაგანდას და არ ემხრობოდა ბავშვების დამცველ კანონს. ევროკავშირის წარმომადგენლებიც ითხოვდნენ ამ კანონის გაუქმებას და ამის გამო ხელისუფლების ოპონენტებს გარე დავალებების შესაბამისად მოქმედება ბრალდებოდათ. ამავდროულად, სიტყვა ხალხს, ზოგიერთი ლიდერი უფრო ხშირად იყენებდა პოპულისტური მნიშვნელობით. პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი ღარიბაშვილი უფრო ხშირად აღნიშნავდა, რომ ხალხი იჩაგრებოდა წინა ხელისუფლების მმართველობისას. როგორც გამოჩნდა, მის გამოსვლებში იკვეთება პოპულისტური

[10] კახა კალაძე ასევე აცხადებდა, რომ უცხოური ძალების დაკვეთით არის მცდელობა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ომში ჩაგვითრიოს, რომლებიც ებრძვიან საკუთარ ხალხსა და ქვეყანას (კალაძე, ქუთაისი, 2024).

[11] ამავდროულად, ივანიშვილი ყველა გამოსვლაში ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქართველები ისტორიულად შემწყნარებელი ხასიათის ადამიანები იყვნენ, რამაც საქართველოში განაპირობა მრავალეთნიკურ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრება.

გზავნილები, ხალხსა და „ყოფილ რეჟიმს“ (ელიტას) შორის, რომელიც არადემოკრატიული მმართველობით ხასიათდებოდა. ხალხი ძირითადად წარმოჩენილია, როგორც ჩაგრული ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, რომელზეც ძალადობდნენ და მათ თავისუფლება არ ჰქონდათ. ასევე, მოწოდებები მოიცავდა პოპულისტური დისკურსისთვის დამახასიათებელ მანიქეურ რიტორიკას, კეთილ და მშვიდობის მოსურნე ქართულ ოცნებასა და მეორეს მხრივ ბოროტ, მოღალატე და ომის გამჩაღებელ (კოლექტიურ) ნაციონალურ მოძრაობას შორის. ღარიბაშვილის საჯარო გამოსვლებში ყურადღება არის გამახვილებული „სხვაზე“ (და ნაკლებად „ჩვენ“ ხალხზე) რომელიც არის მთავარი მითითების წერტილი.

ივანიშვილის თქმით, ქართული ოცნება არის „ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც წლებია, ემსახურება ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და არის კეთილდღეობის, სტაბილურობისა და ღირსეული ევროპული მომავლის გარანტი.“ (ივანიშვილი, ქუთაისი, 2024). მოწოდებებში აქცენტი იყო საქართველოს სწრაფვაზე ევროპისკენ და ევროკავშირში გაწევრიანებაზე და მისი ოჯახის წევრად სრულფასოვნად გახდომაზე. ივანიშვილი (და სხვა ლიდერებიც) აცხადებდა, რომ ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში, საქართველოში გადაიდგა ნაბიჯები ევროკავშირთან მეტად დაახლოვების მიმართულებით, სახელმწიფოს ძალოვანი უწყებები და მართლმსაჯულების სისტემა ევროპულ სტანდარტთან თანხვედრაში მოვიდა (ივანიშვილი, ბათუმი, 2024). ამასთან ერთად აღნიშნული იყო, რომ ევროპაში ღირსებით უნდა შევსულიყავით. ქართული ოცნება ღირსეულად შევა ევროპაში და ირჩევდა თანასწორობაზე და არა ბუნდოვანებაზე დაფუძნებულ ევროპულ მომავალს (ივანიშვილი, თბილისი, 2024). არსებობდა ღირსეული ევროპა და ღირსეული ევროპული მომავალი და მიუღებელი მოცემულობა, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია და გარე აქტორები ცდილობდნენ ევროპულად გაასაღონ (ივანიშვილი, თელავი, 2024). ღირსება არის ის საკითხი, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს და ის არ

დაემორჩილება უცხო ქვეყნების დიქტატს. ამასთან ერთად ყურადღება გამახვილებულია, რომ საქართველოს ევროპულობა ქრისტიანობაშია. ამჟამად ევროპაში ფსევდოლიბერალური ფასეულობებია გაბატონებული, რომლებიც კონსერვატიზმის, ტრადიციებისა და რელიგიის საპირისპიროა, შესაბამისად, ევროპა პატივს არ სცემს ქრისტიანულ ტრადიციებს საქართველოში. ქართველი ხალხი სწორედ ასეთ ღირებულებების დამცველია, ხოლო ქართული ოცნება ხალხის ინტერესებს ატარებს და ასახავს.

პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, განცხადებით, ევროპა ქართველი ხალხის ნებას ვერ ხედავს. კერძოდ, ევროპა საქართველოსგან ითხოვდა რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, ასევე იფარებდა ნაციონალური მოძრაობის კრიმინალ ლიდერებს. მისი შეფასებით, ეს ყოველივე ფარისევლობაა, რაც მალე დასრულდებოდა, როდესაც ყველა დაინახავდს თუ სად დგას ქართველი ხალხი. ქართველებმა იციან, რა აერთიანებთ მათ ევროპასთან. ევროპა პატივისცემას და არა დაქვემდებარებას ნიშნავს, ასევე სიმართლესა და სულიერებას. საქართველომ 17 მაისს („ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს“) მსვლელობისას აჩვენა, რომ ის არ არსებობს მისი რწმენის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის გარეშე. აქედან გამოდინარე, საკუთარი იდენტობის დაცვით უნდა შევიდეთ ღირსეულად ევროპელ ხალხთა ოჯახში (პაპუაშვილი, ქუთაისი, 2024).

საქართველოს ევროპულობა ქრისტიანობამ განსაზღვრა, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპული გზის განსაზღვრაში და სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზე აღმოცენდა ევროპა და ევროკავშირი (პაპუაშვილი, მცხეთა, 2024). გზავნილებში ვხედავთ, რომ ქართული ოცნების მიერ გადადგმული ნაბიჯები შესაბამისობაშია ევროკავშირის ღირებულებებთან, რადგან ევროკავშირს (და ევროპას) ქრისტიანობა უდევს საფუძვლად, რასაც თანამედროვე ევროკავშირი ძირითადად დასცილდა და ამჟამად ევროკავშირი ქართველი ხალხის არჩევანს და ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს არ სცემს. აღნიშნული მოწოდებები ევროპის მიმართ აიხსნება

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის პოზიტიური დამოკიდებულებით ევროკავშირის მიმართ[12], შესაბამისად, მმართველი პარტია აგებს ევროპის ორმაგ სახეს და უპირისპირებს ერთმანეთს ქრისტიანულ, კონსერვატიულ და მეორეს მხრივ, ლიბერალურ ევროპას.

ქართული ოცნების ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ქვეყანას იცავდნენ ლგბტ პროპაგანდისგან. ღარიბაშვილის თქმით, არა უნდა ვუთხრათ ფსევდოლიბერალურ ფაშიზმსა და ლგბტ პროპაგანდას და უცხო ქვეყნების ჩარევას ჩვენს შიდა საქმეებში (ღარიბაშვილი, თბილისი, 2024).[13] საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი აცხადებდა, რომ იქ მყოფი ადამიანებისთვის უნდა ეკითხათ თუ რა სურს ხალხს სინამდვილეში. მათ შორის, უნდათ თუ არა მათ ლგბტ პროპაგანდა, გამჭირვალობის კანონის გაუქმება. საქართველოს გარედან თავს ახვევდნენ და თხოვდნენ ლგბტ პროპგანდის დაკანონებას. ის ამატებდა, რომ ქართველი ხალხის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ საქართველოში (მდინარაძე, ბათუმი, 2024). აქციაზე მყოფი ხალხი წარმოჩენილია, როგორც საქართველოს ინტერესების გამომხატველი, ხოლო ქართული ოცნება გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და იცავს მას გარედან თავსმოხვეული ფასეულობებისგან.

საქართველოში ლგბტ უფლებების წინააღმდეგ ბრძოლა ნაციონალისტურ-პოპულისტური აქტორებისთვის არის დამახასიათებელი. ამასთან ის დაკავშირებულია ანტიდასავლურ გზავნილებთან, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს მიუღებელ ფასეულო-

[12] ევრობარომეტრის კვლევის თანახმად, 2024 წლის შემოდგომაზე ევროკავშირში გაწევრიანება 60%-ს მიაჩნდა დადებითად. თუმცა 2025 წელს ამ მაჩვენებელმა იკლო. იხ: (ჩიჩუა, 2025) https://netgazeti.ge/life/775883/

[13] ქუთაისში გამოსვლისას, ის ამბობდა, რომ მცდელობა არის „ლგბტ“ პროპაგანდა დააკანონონ ბაღებსა და სკოლებში (ღარიბაშვილი, ქუთაისი, 2024)

ბებს გლობალური, ლიბერალური, ძალები გარედან ახვევენ თავს. ამ კუთხით არის მცდელობა თანამედროვე ევროკავშირი და მისი მართველი ინსტიტუტები დააკავშირონ ლგბტ უფლებების დაცვასთან, რაც ლიბერალური პროექტის ნაწილად უნდა წარმოჩნდეს და რომ ეს ყოველივე შეუსაბამოა ქართველი ხალხისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული ოცნების ლიდერები ქრისტიანულ ევროპაზე/ევროკავშირზე ხაზგასმით ტოვებენ სივრცეს, რომ ევროკავშირში კონსერვატიული ძალების გამარჯვების შემდეგ, საქართველო საკუთარი იდენტობისა და ღირსების შენარჩუნებით მისი წევრი აუცილებლად გახდება.

დასკვნა

2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლების გზავნილები პოპულისტურ დისკურსებს მოიცავდა. როგორც აღინიშნა, პოპულიზმი ახდენს ანტაგონიზმის კონსტრუქციას „ჩვენ ხალხსა“ და „მათ (სხვა) ელიტას“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოვიდა 2012 წელს და შესაბამისად პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენს, მისი გზავნილები ყურადღებას ამახვილებდნენ ყოფილ ელიტაზე/ხელისუფლებაზე. პარტიის ლიდერების მოწოდებებში ხშირად ფიგურირებდა მითითებები ბოროტ ძალაზე, რომელიც იყო ნაციონალური მოძრაობა. ხოლო „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ (4 ძირითად ოპოზიციურ პარტიას, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და კრიტიკულ მედიას) ბრალდებოდა უსამშობლოობა, გარე ძალების ინტერესების მსახური და მათი აგენტობა. გარე ძალების მსახური „ფსევდოლიბერალური“ იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობაში აისახებოდა, მათ შორის, „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებაში, რაც არის ქართული პოპულიზმისთვის, კერძოდ ნაციონალისტური-პოპულიზმისთვის დამახასიათებელი გზავნილები (ნაციონალისტურ-პოპულისტური და ნატივისტური ჯგუფები 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში აკ-

რიტიკებდნენ ხელისუფლებას, რომ ის ქართველი ხალხის საზიანოდ, ლიბერალურ პოლიტიკასა და უცხოურ ინტერესებს ატარებდა საქართველოში [14]). ქართული ოცნება ემსახურებოდა ქართველ ხალხს და შესაბამისად, იცავდა ეროვნულ ინტერესებს, კერძოდ, ქართულ ტრადიციებს, კულტურასა და მართმადიდებლურ ეკლესიას, მათი დამსახურებით ქვეყანა განვითარდა და შენარჩუნდა მშვიდობა.

პოპულისტური ანტაგონიზმის კონსტრუქცია „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის ყველაზე მეტად გამოკვეთილი იყო მშვიდობისა და ომის თემაზე აპელირებით (რაც ქართული ოცნების წინასაარჩევნო ბანერებზეც იყო ასახული). მაშინ როდესაც, რეგიონში გეოპოლიტიკური ქარტეხილების პერიოდში ომი და არასტაბილურობა სუფევდა, ხდებოდა ქართული ოცნების წარმოჩენა, როგორც ქვეყნის მშვიდობის დამცველისა და სტაბილურობის გარანტორის, ხოლო, მეორეს მხრივ, „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობის“ როგორც ომის მოსურნის.

ქართული ოცნება, ასევე აპელირებდა სუვერენიტეტის დაცვაზე, რაც ევროპაში არსებული პოპულისტური ძალებისთვის დამახასიათებელი დისკურსების ნაწილია, სადაც სახელმწიფოთა სუვერენიტეტი დაპირისპირებულია ბრიუსელის ბიუროკრატიასა და ტექნოკრატიულ მმართველობას. აღნიშნულ მოწოდებებში იკვეთებოდა ევროსკეპტიკური დამოკიდებულება, რადგან ქართული ოცნება იცავდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და არ მისცემდა არავის ქვეყანაზე დიქტატის საშუალებას. მათი წარმოდგენით, ევროპა იყო ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული ერთობა. ამჟამად, ევროპა/ევროკავშირი არ იყო საკუთარი პრინციპების ერთგული, არ იცავდა თანასწორობის პრინციპს და საქართველოს თავს ახვევდა

[14] აღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით იხ: გოგსაძე, გ. (2022). 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნატივისტური დისკურსები. ჟურნალი „პოლიტიკა“. ტომი 6, N 5.

მიუღებელ ღირებულებებს. როგორც აღინიშნა, მსგავსი გზავნილები ემსახურებოდა ევროპის ორმაგი იმიჯის კონსტურქციას, სადაც ევროპას აქვს დადებითი ღირებულებები, როგორიც არის ქრისტიანობა და კონსერვატიზმი, თუმცა, ამჟამად იქ გაბატონებულია ლიბერალური (ფსევდოლიბერალური) ღირებულებები, რომლის თავს მოხვევას ცდილობენ პატარა ერებზე. ქართულ საზოგადოებაში ევროკავშირში გაწევრიანებისადმი მაღალი მხარდაჭერის გამო, ქართული ოცნება თავს არიდებდა მის პირდაპირ კრიტიკას და აღნიშნულ გზავნილებს მიმართავდა, ამავდროულად, საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებოდა მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ სვლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგსაძე გ. (2022). 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნატივისტური დისკურსები. ჟურნალი „პოლიტიკა“. ტომი 6, N 5; https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/309

ირაკლი კობახიძის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ქუთაისში (სრულად) 19 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: http://nsp.ge/77231-irakli-kobakhidzis-sityvith-gamosvla-qarthuli-ocnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze-quthaisshi-srulad.html

ირაკლი კობახიძე - როგორც არ უნდა გაერთიანდეს რომელიმე ოპოზიციური პარტია სხვა პარტიებთან, საერთო კონფიგურაცია ვერ შეიცვლება, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ამ არჩევნებს ძალიან მძიმედ წააგებს. (2024, 22 ივლისი) პირველი არხი. მოპოვებული: https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-rogorc-ar-unda-gaertiandes-romelime-opoziciuri-partia-skhva-partiebtan-saerto-konfiguracia-ver-sheicvleba-koleqtiuri-nacionaluri-modzraoba-am-archevnebs-dzalian/

ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა “ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ქუთაისში 19 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://exclusivenews.ge/post/460020

პრემიერ-მინისტრი კანონპროექტს იცავს, სსო-ებსა და პრეზიდენტს „უცხოელ აგენტებს“ უწოდებს. (2024, 17 აპრილი) Civil.ge. მოპოვებული: https://civil.ge/ka/archives/600071

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თავი VI. წინასაარჩევნო კამპანია. მუხლი 45. წინსაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). ქვეპუნქტი 1 (2011). მოპოვებული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=73

„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის საბოლოო მოსმენით მიღებას საერთაშორისო გამოხმაურებები მოყვა. (2024, 15 მაისი) Civil.ge. მოპოვებული: https://civil.ge/ka/archives/606551

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ბათუმში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე. პირველი არხი. 10 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-batumshi-qartuli-ocnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze/

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა თბილისში, დასკვნით საარჩევნო შეხვედრაზე. პირველი არხი. 23 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-tbilisshi-daskvnit-saarchevno-shekhvedraze/

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშ-ვილის სიტყვით გამოსვლა ზუგდიდში, საარჩევნო შეხვედრაზე. პირველი არხი. 15 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-zugdidshi-saarchevno-shekhvedraze/

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივა-ნიშვილის სიტყვით გამოსვლა თელავში, საარჩევნო შეხვედრაზე. პირველი არხი. 28 სექტემბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-telavshi-saarchevno-shekhvedraze/

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა რუსთავში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე. პირველი არხი. 19 სექტემბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-

sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-rustavshi-qartuli-ocnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze/

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ქუთაისში, საარჩევნო შეხვედრაზე. პირველი არხი. 19 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-sapatio-tavmjdomaris-bidzina-ivanishvilis-sityvit-gamosvla-qutaisshi-saarchevno-shekhvedraze/

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დასკვნით ღონისძიებაზე თბილისში 23 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://kvira.ge/967029

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ბათუმში. 11 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://nsp.ge/76799-qarthuli-ocnebis-aghmasrulebeli-mdivnis-mamuka-mdinaradzis-sityvith-gamosvla-qarthuli-ocnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze-bathumshi-srulad.html

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის და თბილისის მერის კახა კალაძის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ქუთაისში. სრულად. 19 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://businessinsider.ge/allnews/kartuli-otsnebis-generaluri-mdivnis-da-tbilisis-meris-kakha-kaladzis-sitqvit-gamosvla-kartuli-otsnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze-kutaisshi-srulad

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრის, პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე მცხეთაში. რუსთავი 2. 21 აგვისტო, 2024. მოპოვებული: https://rustavi2.ge/ka/news/289653

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრის, პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ქუთაისში. 19 ოქტომბერი, 2024. მოპოვებული: https://xnews.ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9

8%e1%83%a1-%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%a1-17/

შალვა პაპუაშვილის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე რუსთავში 19 სექტემბერი, 2024. მოპოვებული: https://newshub.ge/index.php/news/politika/shalva-papuashvilis-sitkvit-gamosvla-kartuli-otsnebis-saarchevno-kampaniis-regionul-ghonisdziebaze-rustavshi

ჩიჩუა, ნ. (2025, 3 ივნისი) ერთ წელში EU-სადმი ნდობა საქართველოში 17%-ით შემცირდა ევრობარომეტრი. ნეტგაზეთი. მოპოვებული: https://netgazeti.ge/life/775883/

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

Laclau, E. (2005). Populism: What's in a Name? In F. Panizza, *Populism and Mirror of Democracy.* (pp. 32-49). Verso.

George Gogsadze

Georgian Dream's populist messages in the 2024 parliamentary election campaign

Abstract

The article examines the populist messages of the leaders of Georgian Dream in public speeches, which they addressed during the 2024 parliamentary election campaign. Populism is understood as a discourse, where in the political space, society is divided between us, the "people," and the ("other") "elite". This approach is based on Ernesto Laclau's theory. The aim of the article was to identify the populist themes that the Georgian Dream appealed to and constructed antagonism between the people and the "others".

Before the elections, the Georgian Dream emphasized that internal and external forces were fighting Georgia. External forces, through their agents, namely the "Collective National Movement", were fighting the Georgian government (Georgian Dream) and the Georgian people, their traditions, religion and values, they also did not respect Georgia's sovereignty. The "Collective National Movement" was presented as a populist "other" whose goal was to drag the country into the Russia-Ukraine

conflict and open a second front, which would end in the country's destruction. In contrast, the Georgian Dream presented itself as the only guarantor of peace in the country. The aforementioned messages reflected populist discourses, which are widespread in the rhetoric of nationalist-populist parties in Europe, including the defense of the country's sovereignty from EU institutions and bureaucracy.

Regarding the EU, the Georgian Dream resorted to the construction of a double image of Europe. On the one hand, it noted that unacceptable (pseudoliberal) values were imposed on Georgia from outside the country. The Georgian Dream contrasted this with Christian values, which were the foundation of Europe. Georgia should have joined the EU precisely because of Christianity. The use of this strategy should be linked to the support of the majority of Georgian citizens for membership in the European Union.

Keywords: Populism, Peace, Sovereignty, Agents, Europe.